ო ქ მ ი N5

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2021 წლის 27 მაისი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 29 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 27 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი);

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა;

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი);

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 27 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 27, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, გ. ქაძანაია, მ. ლემონჯარია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1 „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ზ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ზ. ბუკია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, უკანასკნელ პერიოდში ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში გახშირდა მომართვები როგორც ფიზიკური პირების, ასევე იურიდიული პირების მხრიდან, რომელთა დიდი ნაწილი მოიცავს ინიციატივებს სხვადასხვა სახის აქტივობების განსახორციელებლად. მათ შორის ხშირია როგორც წინადადებები, ასევე საზოგადოების მოთხოვნა ახალგაზრდული, სპორტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების დასაფინანსებლად. საზოგადოების სხვადასხვა ფენისთვის სარგებლის მომტანი ღონისძიებების განხორციელებისა და მსგავსი პროექტების მხარდაჭერისთვის, ასევე ამ მიმართულებით მოქალაქეების, საინიციატივო ჯგუფების, საზოგადოებრივი ან/და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურების მიზნით,

მიზანშეწონილ იქნა მუნიციპალიტეტის დონეზე შემუშავებულიყო შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლები და ნორმები. შესაბამისი სამართლებრივი აქტის მომზადების პროცესში ყურადღება გამახვილდა არამარტო მიმდინარე პერიოდისთვის უკვე დაფიქსირებულ მოთხოვნებზე (მიმართულებებზე), არამედ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით მუნიციპალიტეტისთვის დაშვებული უფლებამოსილებების ფარგლებში აქტუალურ მიმართულებებზეც. ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მომზადდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიციირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ", რომლითაც განსაზღვრულია ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ფარგლებში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებლად ინიციირებული პროექტების განხილვის, გადაწყვეტილების მიღების და დაფინანსების პროცედურები და პირობები. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 26, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ. ცატავა, ი. გოგოლაძე)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N8 ოქმს თან ერთვის)

2. „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მ. ქარდავა - გამომსვლელი დაინტერესდა რომელ მოტოროლერზე იყო საუბარი?

ა. ვარდია - გამომსვლელმა განმარტა, რომ საუბარი იყო ნაგავმზიდ ძველ მოტოროლერზე, რომელიც შეკეთებას არ ექვემდებარება.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში ირიცხება მოძრავი ქონებები (ავტომანქანა გაზ - 5204, ბორბლიანი ტრაქტორი PA814, ტრაქტორის მისაბმელი, მანქანა სპეციალიზებული Ginaf 212 0N, ავტომანქანა ჰეტჩბეკი ASTRA, ბიის ადმინისტრაციულ ერთეულში ძველი ხიდის ნარჩენი ლითონი, მოტოროლერი ბორტიანი KEVESEKI 2 ცალი, ფილები (მეორადი 50 კვ.მ)), რომლებიც ამორტიზირებულია და ექსპლოატაციისთვის უვარგისია, რაზედაც არსებობს აუდიტორული დასკვნები. მათი რეაბილიტაცია-აღდგენა დაკავშირებულია დიდ საბიუჯეტო ხარჯებთან, რის გამოც მერიის შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მათი პრივატიზება ჯართის სახით, აუქციონის წესით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ. ცატავა, ი. გოგოლაძე, კ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N12 ოქმს თან ერთვის)

3. „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) აუქციონის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით. საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, თორსა-დღვაბის ადმინისტრაციულ ერთეულში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ფართით 56564 კვ.მ (ს/კ 45.06.23.253), არის დაუტვირთავი. მერიის შესაბამის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული მიწა გაიცეს იჯარით აუქციონის წესით, 15 წლის ვადით. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი დამტკიცება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე – 25, წინააღმდეგი – 0
(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: თ. გულუა, ლ. ცატავა, ი. გოგოლაძე, კ. ნასარაია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N13 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2021 წლის 27 მაისის სხდომაზე დამსწრე საკრებულოს

წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. დოდო გაბუნია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. ტარიელ ალექსანდრია
7. ვლადიმერ ქანთარია
8. ბექა მამაცაშვილი
9. კახა ლატარია
10. მერაბ ფილიპია
11. გიგა ნასარაია
12. იგორ გოგოლაძე
13. დავით ცინაძე
14. ავთანდილ ხუნჯუა
15. გოჩა სიჭინავა
16. მზია ლემონჯარია
17. კობა გოქაძე
18. გენადი ქაძანაია
19. კოსტანტინე ნასარაია
20. შადიმან ჭილაია
21. გია წულაია
22. აკაკი ხურცილავა
23. გოჩა ჯობავა
24. რამინ ხილაძე
25. მერაბი ნადარაია
26. ნიკოლოზ ვეკუა
27. კახა მიქაბერიძე